ხელშეკრულება

(რეფერალის - აგენტის მომსახურების შესახებ)

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აგენტსა და პატენტმფლობელს შორის გაფორმებული შეთანხმება, მასზედ, რომ აგენტმა (შემდგომში რეფერალმა) განახორციელოს საერთაშორისო ბაზარზე არსებული კლიენტების მოზიდვა და მინიჭებული პატენტის უფლების გასხვისება სპეციალური უნიკალური კოდის მეშვეობით, მხარეთა შორის დადგენილი საფასურის სანაცვლოდ.

2. ხელშეკრულების მოქმედების აღწერა და ანგარიშსწორების წესი

2.1. საიტი თანამშრომლობს რეფერალური პრინციპით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

2.2. აგენტი რეგისტრირდება საიტზე და მას ექმნება საკუთარი ექაუნთი. ამავე ექუნთში მას მიენიჭება სპეციალური, უნიკალური კოდი.

2.3. მინიჭებული უნიკალური კოდი, მომხმარებელს 10%-ით უმცირებს პროდუქტის ღირებულებას, რითაც იზრდება ინტერესი პროდუქტზე, რომლის შეძენა მომხმარებელს შეუძლია აგენტის მეშვეობით.

2.4. აგენტის მიერ განხორციელებული სერვისის ანაზღაურება ხდება პროდუქტის ფასდაკლებული ღირებულების 10%-ით.

2.5. აგენტი უფლებამოსილია თავისი კოდის მეშვეობით, ანგარიშიდან დაინახოს პორტალზე მყიდველის მიერ შეძენილი ყველა პროდუქტი, რითაც ეძლევა საშუალება აკონტროლოს თავისი გამომუშავებული თანხა.

2.6. აგენტისათვის გადასაცემი საზღაური აისახება მის ანგარიშზე პროდუქტის გაყიდვიდან 15 თხუთმეტი დღის განმავლობაში.

2.7. აგენტის პირადი ან იურიდიული მონაცემები, რომელიც ატვირთულია საიტზე, გაიცემა მხოლოდ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე.

2.8. ბანკის მიერ დაბეგრილი თანხები თანხის გატანისას, როგორც აგენტის ისე ლიცენზიარის და პატენტმფლობელის ქვეყანაში, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

2.9 მხარეები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით.

3. მოქმედი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი:

3.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას რათა მოლაპარაკების გზით იქნას გადაჭრილი ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე.იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3.3. მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა/ გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

3.1 “მხარეები” აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

რომ თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

3.2.ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. „მხარეები“, ასევე მათთან დაკავშირებული პირები არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

4. დასკვნითი დებულებანი

4.1. მხარეები ვალდებულნი არიან შეინახონ კონფიდენციალურად ნებისმიერი კომერციული, ფინანსური თუ ტექნიკური ინფორმაცია, აგერთვე კონტრაქტის შესრულების პირობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონმდებლობით ეკისრებათ ამ ინფორმაციის მიწოდება უფლებამოსილი პირების ან სახელმწიფო სამსახურებისთვის.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ნებისმიერი მოლაპარაკება, მიმოწერა მხარეთა შორის ანულირდება.

4.3. ნებისმიერი ცვლილება-დამატება წინამდებარე ხელშეკრუელბაზე, უნდა განხორციელდეს წერილობით და დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

4.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წიანმდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

4.5. წინამდებარე სათაურები განსაზღვრულია მოხერხებულობისთვის, რათა მხარეებმა მარტივად წაიკითხონ წინამდებარე ხელშეკრულება.

4.6. ნებისმიერი ცვლილება-დამატება, ვალდებულება ან რაიმე სახის ინტერესი წინასწარ წერილობით უნდა იყოს გაფორმებული მხარეთა მიერ. ხელმოწერა უნდა განხორციელდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

4.7. სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულება, მიღებული მხარის მიერ ელექტრონული ფოსტით იურიდიული ძალის მქონეა. მხარეთა შორის ხელშეკრულების ორიგინალის გაცვლა საჭიროებას არ წარმოადგენს.

4.8. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრუელბასთან და თვითონ ხელშეკრულება დადასტურებული ფაქსიმელიით ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ.